პროექტი

# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ოქტომბერი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისაძვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- ოქტომბრის № ---------- ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის (პირადი №17001007343) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 სახლის წინ/ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 ბინის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (სკვერი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.23.790; ფართობი - 656.00 კვ.მ;) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 11 იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (16.07.2024 წლის №004812324) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისთვის განისაზღვრება 20.90 (ოცი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით, სულ ქონების წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 13 710.00 (ცამეტი ათას შვიდას ათი) ლარს.

**მუხლი 4.** მოქალაქე ნათია ვაშაყმაძე (პირადი №17001007343) ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების მომიჯნედ არსებული ტერიტორიის (ფართობი 656კვ.მ) განაშენიანება და მისი მოვლა-პატრონობა (მწვანე ნარგავების დარგვა და არსებულის მოვლა, ძელსკამების დადგმა, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი, ახლით შეცვლა, დაზიანებულის აღდგენა).

**მუხლი 5.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 6.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

**განმარტებითი ბარათი**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ნათია ვაშაყმაძის განცხადება (02.10.2024 წლის N19/4424276325-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდი 03.05.23.790) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადმოცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 სახლის წინ / ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 ბინის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონება (სკვერი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.23.790; ფართობი - 3 281.00 კვ.მ).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის (პირადი №17001007343) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 სახლის წინ / ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №72 ბინის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (სკვერი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.23.790; ფართობი - 656.00 კვ.მ;) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2024 წლის 11 იანვარს გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (16.07.2024 წლის №004812324) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისთვის განისაზღვრება 20.90 (ოცი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით, სულ ქონების წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 13 710.00 (ცამეტი ათას შვიდას ათი) ლარს.

ასევე, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძე (პირადი №17001007343) ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების მომიჯნედ არსებული ტერიტორიის (ფართობი 656კვ.მ) განაშენიანება და მისი მოვლა-პატრონობა (მწვანე ნარგავების დარგვა და არსებულის მოვლა, ძელსკამების დადგმა, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი, ახლით შეცვლა, დაზიანებულის აღდგენა).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.“

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიანე სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი